№ 663 1919 წ. სამშაბათი, ოქტომბრის 22. № 663

ხალხის საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.

ბოლშევიკების ცნობით კუნძ. მიტილენზე ...-ლ ... ლების მოლაპარაკება ანტანტასთან დარღვეული ... მათი ფლოტის შემოძვრების შესახებ. ბორჩალოს მაზრიდან სომხის ნაწილებმა, რომლებიც სანაინს ახლოს დაბანაკებულიყვნენ საზღვარზე დაიხიეს. ამ რაიონებში საქართველოს ჯარი და ჯავშნოსანი მოქმედობს. დღეს საქ. პარლამენტის სხდომაა.

დედ-მამა ეკატირინე ივანეს ასული და ზურაბ გრიგოლის ძე, ცოლი დარია ბესარიონის ასული შვილებით და-ძმა მიხეილ ზურაბის ძე ზანდუკელები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, ოქტომბრის 22-ს, სოფ. არანისში დუშეთის მაზრაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი (საფლავზე)

ბეჟან ზურაბის ძის ზანდუკელის

სულის მოსახსენებლად. 2079

ოქტომბრის 22-ს, 5 საათზე დანიშნულია ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ორმოცი დღის პანაშვიდი დაუვიწყარი და ძვირფასი ძმის

ექიმის ილია (ილო) იოსების ძე ანდრონიკაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ შაქრო და ელო ანდრონიკაშვილები, სიძე შალვა დადიანი და ხახე ანდრონიკაშვილი, მარო და ტასო ციციშვილები. 2180

მიხეილ გიორგის ძე გაგუა თავის პაწია შვილებით მოხუცებული დედითა რძლითა და ძმის შვილით გულითადის მწუხარებით აუწყებს ნაცნობებს და ნათესავებს უდროოდ გარდაცვალებას თავის ძვირფასი მეუღლის და მეგობრის

ლოლიას

დაკრძალვა მოხდება ბანძაში სამშაბათს ოქტომბრის 22-ს, ნაშუადღევის 3 საათზე. 1373

მეუღლე მარიამ, შვილები ანა, მარგალიტა, მიხეილ და სიმონი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ოქტომბრის 19-ს, გარდაიცვალა პირველისა საყვარელი მეუღლე, ხოლო დანარჩენთა მამა

გიორგი ყაუხჩიშვილი

დაკრძალვა მოხდება დღეს, ოქტომბრის 22-ს, ქ. ქუთაისში. 1372

ოქტომბრის 21-ს, ღამით ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

თამარი დიმიტრის ასული პაპალაშვილი

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყობენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ ღრმად დამწუხარებულნი მშობლები დიმიტრი და დაი სოფიო მიცვალებულს. გამოასვენებენ ხუთშაბათს, ოქტომბრის 24-ს, დილის 10 საათზე კონსტანტინოვის ქ. 22 წმიდა მარინის ეკლესიაში. დაკრძალვა პეტრე პავლეს სასაფლაოზე. 2182

ცირკი „მოდერნი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, ოქტომბრის 22-ს, 23-ს გაიმართება

დიდი საგასტროლო წარმოდგენა

მთელი დასის მონაწილეობით. დღეს გასტროლი კლოუნ-მასხრისა პატარა ჩიჩრიათ ბ. ფლორენისა აგრეთვე ჰყავს ვირუკა, თხა, ღორი, ძაღლი, კატა, ფრინველები და სხვა გაწვრთნილი ცხოველები.

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 ს.

ანონსი: მზადდება ბენეფისი ნიკოლინისა.

მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი. 2077

ტფილისი, ოქტომბრის 22.

სოციალ-დემოკრატების პოლიტიკა

ჩვენს გაზეთში უკვე ალვნიშნეთ ის რყევა რომელსაც განიცდის თითქის ყოველ პოლიტიკურ საკითხში საქართველოს სოციალ-დემოკრატია. ალვნიშნეთ აგრეთვე იმის მნიშვნელობა, რაიცა ჰქონდა პარლამენტში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის რუსულ ენის გამეფებას, მეორე მხრით სიმპტომატიური იყო აგრეთვე ის ატმოსფერა, რომელიც შეიქმნა პარლამენტში ტფილისის უმაღლეს კურსებისათვის ორმოცდაათ ათის მანეთის გადების საკითხის განხილვის დროს.

საზოგადოდ ამ ბოლო დროს სოციალ-დემოკრატიას ეტყობა ძველი ავადმყოფობის მობრუნება. იგი სცდილობს ისევ განდგომას და სრულიად დამოუკიდებელ პოლიტიკის წარმოებას. ასეთი მიდრეკილება ეტყობა ცენტრს ძლიერ სუსტად. ხოლო რა ჰხდება პერიფერიებში, ეს ყველამ უწყის. რა ჰხდება, მაგალითად, იმ რაიონებში, სადაც რაიმე მიზეზით საერობო არჩევნებში შეთანხმება არ მომხდარა? ძველი რეჟიმის მოგონება ლანდილაა იმ ძალადობასთან, რომელსაც მიმართავენ სოციალ-დემოკრატები მოწინააღმდეგეთა წინააღმდეგ. [illegible] დემოკრატიის უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიული იყვნენ, ან სულ სოციალ-დემოკრატებისგან შემდგარი და ის კომისიები, [illegible] როცა ხალხი [illegible] არ მოდიოდა სავარჩევნო ყუთებთან, სოციალ-დემოკრატები [illegible] ჰყრიდნენ [illegible] ყუთში [illegible] რათ, თითქოს ხალხი მონაწილეობას იღებდა არჩევნებში. [illegible] სინდისიერებას და ხალხის შეურაცყოფაა. რა აღზრდა, რა მაგალითი უნდა იქმნეს იმ მასისათვის, რომელიც ამისთანა ბოროტმოქმედებას აშკარად ჩადენილს — ჰხედავს? ძლიერ უნდა ეზიზღებოდეს და გულიდან დაყურებდეს ხალხს ის ჯგუფი, რომელიც ამისთანა პროფანაციას არ მოერიდება კენჭების საშოვნელად. განა გასაკვირველი იქნება ჩვენში არევ-დარევა, ანარქია და ბოროტება გამეფდეს — როცა ხელმძღვანელი პარტიის ჯგუფები ასე შელახავენ პოლიტიკურ სინდისიერებას და ზნეობას? სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ამისთანა შემთხვევებს და ხალხს მთლად არ დაუკარგონ ფასი პოლიტიკურ ბრძოლას და პოლიტიკურ მიმართულებებს, რაიცა ბოლოს და ბოლოს მათთვისაც სახეირო არ იქნება, საამისდ გამოცდილება უკვე მოგვცა დუშეთის და სამეგრელოს ამბებმა. ფრთხილად ბატონებო! ნუ უკარგავთ ხალხს ყოველგვარ რწმენას და მიეცით მაგალითი როგორც პოლიტიკური რიგიანობის, ისე ზნეობისა.

სამწუხაროდ ასეთ პოლიტიკას სოციალ-დემოკრატიის მთავარი ორგანოები არამც თუ არ ებრძვიან, ყურადღებასაც არ აქცევენ. მილიციონერების და მთელი ადმინისტრატიული აპარატის ხელში ჩაგდებით მათ საშუალება მიეცათ დაშინებული ხალხი დაემორჩილებინათ და როცა უმრავლესობა დაინახეს საერობო არჩევნები — ტონი შესცვალეს. ვარწმუნებთ ბ-ნ სოციალ-დემოკრატებს, რომ ეს ხმებიც ისეთი ფიქტიური იქნება, როგორიც აღმოჩნდა დამფუძნებელ კრების ცნობილი პირველი ნომერი, რომელსაც ერის 90 პროცენტმა მისცა ხმა. ასეთი სუროგატიული არჩევნების შემდეგ მოხდა იარაღით შებრძოლება იმ ელემენტებთან, რომელიც სოციალ დემოკრატიის ლაშქარს შეადგენდა მუდამ. და თუ ამ პარტიამ ამ გზით იარა — უარესსაც უნდა მოველოდეთ, ხოლო რომ მათი ცვლილება უკუღმა მხრისაკენ მიდის, ამის ნიშნები სჩანს, როგორც ალვნიშნეთ, არა მარტო სოფლად და ქალაქად, პარლამენტში, არამედ მთავრობაშიაც.

როდესაც, კერძოდ ჩვენი ამხანაგები შედიოდნენ სამინისტროში რასაკვირველია ალვილები არ ეინტერესებოდათ. ჩვენ ვფიქრობდით რომ ამ განწირულების ჟამს უეჭველად საჭიროა ეროვნულ და რევოლიუციონურ ფრონტის მთლიანობა. ჩვენ შევეძლო სამინისტროში არ შევსულიყავით და ისე ყოველგვარად დავეხმარებოდით მთავრობას. მაგრამ ეს მძიმე ტვირთიც წამოვიკიდეთ იმ შეგნებით, რომ ეს საჭირო იყო ჩვენი ქვეყნისათვის. ჩვენ ვიცოდით, რომ პარლამენტარიზმი მოითხოვს სამინისტრო შესდგებოდეს უმრავლესობის პარტიისაგან. მაგრამ რაკი კოალიცია ალიარეს საჭიროდ, ჩვენც დავეთანხმეთ იმ იმედით, რომ მართლადაც უმცირესობის ინტერესები დაცულ იქნებოდა. ეს იმედი არ გვიმართლდება და სოციალ-დემოკრატები განკერძოების გზას ადგებიან მაშინ, როცა შეიდემანი იმპერატორ ვილჰელმს უწვდის ხელს. უმცირეს პარტიების სამინისტროები გარიყულნი არიან და თითქმის დევნილნი. სულ მცირე შესწორებანი კი ყოვლად მიუღებელი ჰხდება სოციალ-დემოკრატიულ უმრავლესობისათვის. დავასახელებთ სულ მცირე საკითხს. ამ დღეებში გაირჩა საკითხი ბიბლიოთეკა სამკითხველოების გახსნისა. და მისი მოწყობა, პატრონობა და სხვ. თითქმის მილიციას ჩააბარეს. განათლების სამინისტროსათვის გადაცემა ამ საქმისა, რაიც სრულიად ბუნებრივი და მართებული იქმნებოდა, უარყოფილ იქმნა, ნუ თუ ეს საარჩევნო კომპანიისათვის მზადების ხრიკია? შეეფერება ეს ჩვენს რთულ მდგომარეობას ასეთი აბრუნდი, შესძლებენ საქართველოს აშენებას ასეთი პოლიტიკით? ვეჭვობთ.

დანასკვნისათვის: სოციალ-დემოკრატია სცდილობს გარიყოს ყოველი მხრით სხვა ჯგუფები და მათ შორის ისინიც, რომელნიც მათთან კონტაქტში არიან. ამის სიმპტომები ბევრია და ჩვენ მას შესაფერისად ვაფასებთ, თუ ასე გაგრძელდა — შესაფერისი დასკვნის გამოტანაც ადვილი იქნება და სოციალ დემოკრატიამ უნდა იკისროს მთელი პასუხისმგებლობა ხალხის და რესპუბლიკის წინაშე. სასარგებლო იქნება თუ არა ასეთი კომბინაცია ჩვენი ქვეყნისათვის - ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს.

სომხების პოლიტიკური გეზი და მათი მეზობლები

სომხურ გაზეთ „ჟოღოვურდი ძაინ“-ის (№ 36) მოწინავე წერილი სათაურით „სადღეისო საკითხი“ ეხება სომხეთის დღევანდელ საბედისწერო მდგომარეობას და სცდილობს ამ მდგომარეობიდან გამოსავალ გზის გამოძებნას. ამ გამოსავალ გზად გაზეთს მიაჩნია არა შემთხვევით შემოსულ უცხო ძალებზე დაყრდნობა და იმედის დამყარება არამედ ადგილობრივ ერებთან, სომხების განუყრელ ისტორიულ მეზობლებთან მტკიცე თანხმობის დამყარება და სოლიდარული ცხოვრება. უკანასკნელ ხანებში (საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ) სომხურ პრესაში („ჰორიზონში“, განსაკუთრებით „მშაკში“) გამოთქმულ მსგავსი აზრი, მაგრამ ისე გარკვევით, ისე გადაჭრით და უყოყმანოდ როგორც „ჟოღოვურდი ძაინის“ ზემოხსენებულ წერილშია *) გამოთქმული, ეს აზრი ჯერ არსად გამოთქმულია და ის სომხურ პოლიტიკურ აზროვნებაში ახალ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. გაზეთი გადაჭრით და მტკიცედ ადგება ადგილობრივ ორიენტაციას და ეთხოვება უნიადაგო ილიუზიებს ჩრდილოეთიდან ან დასავლეთიდან ხსნის და გაბედნიერებისას. აქამდე კი სომხის პოლიტიკოსები, თუმცა აღიარებდნენ ადგილობრივ ორიენტაციას, ე. წ. მთლიანი ამიერ-კავკასიის ორიენტაციას, მაგრამ ცალი თვალი მაინც ჩრდილოეთისკენ ეჭირათ ცალი ინგლისისაკენ. „ჟოღოვურდი ძაინს“ ხსენებული წერილი ფრიად დამახასიათებელია როგორც ნიმუში სომხურ პოლიტიკურ აზროვნებაში გარდატეხისა ახალ სალ გზაზე დადგომისა.

ჩვენი გაზეთი და მთელი მიმართულება რომელსაც ის ემსახურება, პირველი იყო რომელიც ქადაგებდა ქართველი ერისა და მისი მეზობლების სოლიდარობას და ამტკიცებდა რომ ეს არის ერთად-ერთი საიმედო თავდები როგორც თითოეულის კერძოდ, ისე ყველა კავკასიის და ამიერ-კავკასიის ერების პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ წარმატებისა და დაუბრკოლებელ განვითარებისა, ამ აზრის ქადაგება ჩვენმა პარტიამ დაიწყო დღიდან თავისი დაარსებისა, როცა თავის დროშაზე წააწერა დევიზი: „თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირი“. ჩვენი პარტია უკვე აწ განსვენებულ რუსეთის თვითმპყრობელობის სასტიკი რეჟიმის დროს ჰქადაგობდა ამ უდავო ჭეშმარიტებას, მაგრამ მაშინ მისი ქადაგება რჩებოდა „ჟოღოვურდი ძაინის“ არ იყოს „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. ჩვენ პარტიას დღესაც ღრმად სწამს ამ უმაღლესი საკაცობრიო იდეალის სიწმინდე და მომავალი, ღრმად სწამს კერძოდ ამ იდეალის ცხოველმყოფელი მნიშვნელობა კავკასიის ერთა და სახელმწიფოთა მომავლისათვის და ამიტომ ფრიად მოხარულია, რომ სომხურ პოლიტიკურ წრეებშიაც რამდენადმენადაც მათ წარმოადგენს „ჟოღოვურდი ძაინ“-ი, ფეხს იკიდებს რწმენა საკუთარი და მეზობელთა შეერთებული ძალისა, შეგნება რომ სხვისი იმედით ცხოვრება, სხვის ხელში შეყურება დამამცირებელია ერის ღირსებისა და საჭიროა თავის პატივისცემა: „ეხლა მაინც, ამ ჩვენს... საბედისწერო ჟამს დავსდვათ ჩვენ თავს პატივი. ეხლა მაინც შევიგნოთ რომ ჩვენი ხსნა იქ არ არის, საიდანაც საუკუნეთა განმავლობაში ველოდით მას. ჩვენი ხსნა აქ არის, ჩვენს მეზობლებთან საძმოო შეთანხმებისა და მტკიცე კავშირის დამყარებაში. სტუმრები ჩვენ ვერ გვიხსნიან, სტუმრები ჩვენ სატკივრებს წამალს ვერ მოუნახვენო“ სწერს გაზეთი სრულიად სამართლიანად. ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ სომხურ პოლიტიკურ აზროვნებაში ამ ახალ მომენტს და სურვილს გამოვთქვამთ, რომ ეს ახალი მიმართულება სულ ახლო მომავალში გადაქცეულიყოს სომხეთის რესპუბლიკის და საზოგადოდ სომხობის პოლიტიკის მამოძრავებელ ძალად. ასეთი პოლიტიკის წარმოებით, უეჭველია, ყველაზე მეტს თვით სომხის ერი მოიგებს, რადგან უნდა აღვიაროთ, რომ ამიერ-კავკასიის და კავკასიის ყველა ერზე მეტი ზიანი მას დაადგა ამ ომის დროს და თუ ეხლა მეზობლები გადაიკიდა, კიდევ უარეს და სავალალო მდგომარეობაში ჩავარდება, რასაც შეიძლება ვერც კი გაუძლოს მისმა (სომხის ერის) დასუსტებულმა და დაქანცულმა სხეულმა. რასაკვირველია, ეს პოლიტიკა სასარგებლო იქნება სომხების მეზობლებისთვისაც და მოეღება ბოლო იმ უსიამოვნებას ზოგჯერ იარაღით შეტაკებებსაც რაც რამდენიმედ მაინც ნაყოფია სომხების ძველის, როგორც გაზეთი აღნიშნავს „შურისძიების გრძნობაზე აგებული საერთაშორისო პოლიტიკისა ამიერკავკასიაში.

განსაკუთრებული ინტერესების გამო, მოგვყავს წერილი სრულიად. „პოლიტიკური მომენტი მეტის-მეტად სერიოზულია. სერიოზულია განსაკუთრებით ჩვენთვის, სომხებისათვის, რადგან, როგორც სჩანს, ჩვენ დღესაც ისე როგორც მუდამ, ვერ ვიჩენთ ისტორიულ მომენტის ღრმა შეგნების უნარს და არ შეგვიძლია რამე საერთო და ბრძნული პოლიტიკა ვაწარმოვოთ ჩვენი გაუბედურებული ერის ნაშთთა გადასარჩენად, ამბობს გაზეთი. ჩვენ ისტორიისგან მოსჯილი გვქონდა ჩვენი სამშობლოს გარედ ცხოვრება და ქვეყნის ყველა კუთხეებში მიმოფანტული განვიცდით უცხოელთა ავსა და კარგს გავლენას. ჩვენ მუდამ უცხოელებს ვექვემდებარებოდით და სხვა და სხვა ადგილას სხვა და სხვა პოლიტიკას ვაწარმოებდით და მხედველობაში არ ვიღებდით ჩვენი ერის საარსებო, ეკონომიურ იტერესებს.

როცა გამოუთქმელად გაძნელდებოდა ჩვენი ცხოვრების პირობები, როცა ჩვენი სისხლით შეილებოდა სომხეთის მიწა-წყალი, ჩვენ დამფრთხალნი და ზარდაცემულნი უცხოელებს მივმართავდით ხოლმე დახმარებისათვის.

ხოლო ყოველთვის, როცა გაივლიდა საფრთხისა და შიშის საბედისწერო დრო, ჩვენ შურისძიებასა და სისხლის აღებაზე ჩამოვაგდებდით ლაპარაკს.

და დღეს ჩვენი ერი ერთობლივ იმკის ჩვენ მიერ დანათეს პოლიტიკის მწარე ნაყოფს.

დღეს ჩვენ კვალად ცხოვრების ღრმა ზღვის მრისხანე ტალღების წიაღში ჩავცვივდით და არ ვიცით რა ვქნათ, ვის მივმართოთ, სად ვპოვოთ მყუდროება და თავშესაფარი.

რა უნდა ვქნათ დღეს?

შეგვწევს უნარი რომ დღეს, ამ ვიწროებისა და გამოუსავლობის დღეს მოინც შევიგნოთ ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების მძიმე მდგომარეობა? ეხლა მაინც შეგვწევს უნარი იმის შეგნებისა, რომ მოაღწია ჩვენი განსჯის, ჩვენი ისტორიული ბედის გადაჭრის უკანასკნელმა ჟამმა?

*) წერილი ქვემოდ იბეჭდება.

ჩვენ თავზე ჯერ კიდევ მრავალმა განსაცდელმა უნდა გადაიაროს. უნდა მოვიდენ, ჩვენი სამშობლო მოსთელონ და გადაიარონ იმ უცხოელებმაც, რომელნიც აქ მოიყვანა ისტორიულ მიმდინარეობათა და ეკონომიურ ინტერესთა მოულოდნელმა შეხვედრამ.

უნდა შევიგნოთ ყოველივე ეს თუ არა? თუ კვალად და კვალად ჩვენი ცხოვრების ამ მძიმე დღეებშიც ყველას ფეხქვეშ გავეგოთ, ჩვენი მოთქმა ტირილი ცას მივაწვდინოთ და უცხოელებს ვთხოვოთ ჩვენი ტკივილების, ჩვენი საუკუნოებრივი ჭრილობების წამალი და მალამო? რამდენჯერ, რამდენგზის მოსულან ისინი როცა მათ აქეთკენ აამოძრავებდა ახალ-ახალ დაპყრობათა დაუშრეტელი წყურვილი?! მოსთლან და წასულან!

რას მოგვიტანენ ისინი?

შეიძლება რომ არაფერს. ხოლო როგორც ყოველთვის, ისინი თან წაიღებენ ჩვენს სულსა და გულს, ჩვენს ოცნებებს, ჩვენს ვნებით ანთილ სურვილს და ღრმა რწმენას მომავალი ბედნიერი დღეებისას.

წაიღებენ და მერმე შეიძლება არაფერიც არ მოგვცენ, როგორც არაფერი არ მოუციათ შორეულსა და ახლო წარსულში, როგორც არაფერი მიუციათ მაშინაც კი, როცა სისხლისგან დაწრეტილი, მრავალ ტანჯული სომხის ერი მათ, ამ უცხოელებს, ემუდრებოდა და შველას სთხოვდა.

მოვლენ და წავლენ.

კიდევ დაიბადებიან გლადსტონები რომელნიც ჩვენს შესახებ ილაპარაკებენ, ჩვენ-კენ მოუწოდებენ ძსოფლიოს ძალთა ყურადღებას, მაგრამ როგორც ყოველთვის, მათი ხმა დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა იმიტომ, რომ ვისთვის და რისთვის არის საჭირო ღონე მიხდილი, უპატრონო და აოხრებული სომხის ერი?

ხოლო თუ ესეა, ეხლა მაინც ამ ჩვენს საუბედურო და საბედისწერო ჟამს, დავსდვათ ჩვენს თავს პატივი; ეხლა მაინც შევიგნოთ, რომ ჩვენი ხსნა იქ არ არის, საიდანაც ჩვენ საუკუნეთა განმავლობაში ველოდით მას.

ჩვენი ხსნა აქ არის, ჩვენ მეზობლებთან საბოლოო შეთანხმებისა და მტკიცე კავშირის დამყარებაში.

სტუმრები ჩვენ ვერ გვიხსნიან, სტუმრები ჩვენ სატკივრებს წამალს ვერ მოუძებნიან.

თუ ჩვენ ამდენი განსაცდელისა და სიმწარის გადატანის შემდეგაც კი არ შევიგენით ეს ჭეშმარიტება, თუ დღესაც დავივიწყეთ ჩვენი ისტორიული მეზობლები და მხოლოდ უცხო დროებით სტუმრებს მივმართეთ, რათა მათ დაგვიცვან მათ და გვიხსნან, მაშინ კიდევ უფრო გაღრმავდება ის უფსკრული, რომელიც გათხრილია დღეს ჩვენსა და ჩვენ მეზობელ ერთა შორის.

დაჰკრა საათმა.

შორეულ დასავლეთში რომ დღეს ამბები ხდება, იმდენად დიდი და მნიშვნელოვანია, რომ ახლო მომავალში მათი გავლენის წყალობით შესაძლებელი და მოსალოდნელია ცვლილებანი აქაურ პოლიტიკურ ცხოვრებასა და მდგომარეობაში.

ბოლოს და ბოლოს უნდა შევიგნოთ, რომ ჩვენი მდგომარეობა განუსაზღვრელად სერიოზულია, უნდა დავივიწყოთ ძველი ჩვეულებანი და სასწრაფოდ აქტიური ნაბიჯები გადავდგათ ჩვენი ერების (იქვე) დაახლოვებისა და მათი სოლიდარული ცხოვრების შექმნისაკენ.

წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მოგველის ახალ-ახალი განსაცდელი—შეიძლება იმაზე უარესი და უძნელესი, რაც დღემდის გვინახავს და გადაგვიტანია".

დ. ყ—ძე.

მთავრობაში

ტფილისს ოქტომარის 20, იუსტიციის მინისტრმა შ. ვ. ალესი-მესხიშვილმა წინადადებით მიმართა მისდამი რწმუნებულთ დაწესებულებათ, რომ თანახმად მისი განკარგულებისა ამა ოქტომბრის 10-ან შემოღებულია სრული ნაციონალიზაცია სამინისტროს კანცელარიის საქმის წარომებაში. ამის მიხედვით მინისტრი სთხოვს დაუყოვნებლივ და თუ ეს მოუხერხებელია ყოველ შემთხვევისათვის არა უგვიანეს ნოემბრის 1-ს მიწერ-მოწერა სამინისტროსთან წარმოებულ იქმნას სახელმწიფო ენაზე.

—

იუსტიციის მინისტრმა წინადადება მისცა ტფილისის, ქუთაისის და ფოთის ქალაქის თვითმართველობებს აირჩიონ თანახმად ახალი კანონისა საუბნო და საპატიო მომრიგებელ მოსამართლენი. ქალაქმა ტფილისმა უნდა აირჩიოს 22 საუბნო და 11 საპატიო მოსამართლე. ქუთაისმა—5 საუბნო და 3 საპატიო. ქალაქმა ფოთმა 2 საუბნო და საპატიო მოსამართლე.

ამასთან ერთად იუსტიციის მინისტრი მიწერილობას დაუგზავნის არსებულ საერობო დაწესებულებებს მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევის შესახებ. სულ ასარჩევია: ტფილისის მაზრაში 26 საუბნო და 4 საპატიო მოსამართლე. ბორჩალოსაში—6 საუბნო და 5 საპ. დუშეთისაში—3 საუბ. 3 საპ. გორისაში—11 საუბ. 6 საპ. სიღნაღისაში—6 საუბ. 3 საპ. საინგილოში—3 საუბ. 1 საპ. თელავისაში—4 საუბ. 3 საპ. თიანეთისაში—3 საუბ. 2 საპ. ქუთაისისაში—11 საუბ. 5 საპ. რაჭაში—4 საუბ. 3 საპ. ლეჩხუმ-სვანეთში—4 საუბ. 3 საპ. შორაპნის მაზ. 7 საუბ. 5 საპ. გურიაში—6 საუბ. 3 საპ. ახალსენაკის მაზ.—4 საუბ. 2 საპ. ზუგდიდისაში—6 საუბ. 3 საპ სოხუმის ოლქში 7 საუბ. 4 საპ.

—

ოქტომბრის 19-ს მთავრობის სხდომაზე დადგენილ იქმნა: გზათა მინისტრს გადაეცეს 100.000 მანეთი სოფ. ილდაკანში ნავთის დამუშავებისათვის.

—

მთავრობამ არ დააკმაყოფილა „წითელი ჯვრის" შუამდგომლობა 500,000 მანეთის გადადების შესახებ ამ დაწესებულების შტატებისა და ხარჯთ-აღრიცხვის წარმოდგენამდე.

უკანასკნელი ცნობები

სანაინში.

მთავრობის თავმჯდომარეს სანაინიდან ჯავშნოსან მატარებელთა უფროს გოგუაძისაგან შემდეგი დეპეშა მოუვიდა: 20... თვეს 15 საათის შემდეგ მოველი სადგ. სანაინში და მომხდარ ამბების გამორკვევის შემდეგ გავემგზავრე ჩვენი ტერიტორიის საზღვრებისაკენ კალაგერაჯის და კობერის შუა ადინარე დედება-ჩაის ხიდი სომხეთა ნაწილებისაგან დაკავებული აღმოჩნდა. მე მათ ულტიმატუმი წარვუდგინე ჩვენი ტერიტორიის გაწმენდის შესახებ, რაც მათ რამოდენიმე ხნის რყევის შემდეგ შეასრულეს. ჩვენი ტერიტორიის სასაზღვრო პოსტები აღვადგინე თქვენის ჩვენების მიხედვით. შემდეგს გაცნობებთ.

მოსკოვის ცნობები

მოსკოვი. ოქტ. 19. ავსტრიის მთავრობა პროტესტს აცხადებს რაკოვსკის ვენაში ელჩად დანიშვნის გამო. ავსტრიის მთავრობას წესწყობილების შეცვლის ხანაში სურს ჰყავდეს ელჩის მაგიერ მხოლოდ მეთვალყურეთ.

ბერლინი. ოქტ. 18. რეიტერის სააგენტოს ცნობით ინგლისის პროფესიონალური კავშირების პარლამენტის კომისიამ მოიწონა ვილსონის პასუხი.

მოსკოვი. ოქტ. 19. საფრანგეთის ქალაქების სხვა და სხვა გაზეთები ადასტურებენ შიმშილობის დაწყებას სახელმწიფოში.

სტოკჰოლმი. ოქტ. 17. საფრანგეთის სოციალისტურ პარტიების მარცხნივ გადახრის გამო ცენტრალურ პარტიათა ორგანოების გახადლი გამგეობაში შედის ლონგეს ჯგუფიდან 10, შეთანხმების ომხოე 10, 4 კაპტალელი.

ბერლინი. ოქტ. 17. ამერიკაში სინდიკალისტმუნის სიკვდილით დასჯა გადასდვეს.

მილანი. ოქტ. 17. ამერიკელი სოციალისტი გომპერსი იტალიაში იმპერიალისტურ პროპაგანდას ეწევა.

პარიზი, ოქტ. 17. გაზეთ „ტან"-ის კორესპონდენტი სოფიიდან იტყობინება, რომ ინტერვიუ ჰქონდა მალინოვთან, რომელიც ბუდიშს იხდის მოკავშირეთა სახელმწიფოების წინაშე ბულგარეთის 1915 წლის პოლიტიკის გამო.

ბრძოლა დასავლეთ ევროპაში. მოკავშირეთა წინსვლა გრძელდება. გერმანელებმა დასცალეს: ოსტენდე, რუბე, დუე და ლილი. ინგლისის რაზმი შევიდა ოსტენდეში. ფრანგებმა აიღეს ტიგილკური, ამერიკელებმა—გრანდ-პრელისის და უაზის უბანში ბრძოლა განახლდა. სამხრეთის ფრონტი: ალბანიაში სერბიელებმა მიაღწიეს დასავლეთ მორავას მოკავშირეთა ჯარი ნიშის ჩრდილოეთით წინ მიიწევს. ხელთ იგდეს 32 ზარბაზანი და ტყვეები. საფრანგეთის და საბერძნეთის ჯარმა ალბანიაში დაიკავა კუხუმილი. პალესტინის და სირიის ფრონტზე მოკავშირეებმა ჯარი გადმოსხეს სირიის ტრიპოლში.

უცხოეთი

მოსკოვი, 19 ოქტ. ცენტ. აღმ. კომ. პრესის ბიურო სამხედრო ცნობა. 18 ოქტ. არხანგელის მიმართულებით მტერსა შემოსვლა განიზრახა, რის გამო ჩვენი ჯარი უკან იხევს. კრასნოუფიმის ფრონტზე მტერი უკან იხევს სოფ. კლინისაკენ. იჟევოვოტკინის მიმართულებით ჩვენ წინსვლას განვაგრძობთ მდ. კამის ორივე ნაპირით. მენზელინის მიმართულებით ჩვენი ფლოტილია ბრძოლით იკაფავს გზას ზევით მდ. კამაზე. არხანგელის მიმართულებით ჩვენ ავიღეთ სად. მიპოვო. სამხრეთის ფრონტზე, მტერმა განიზრახა დაეპყრო მდინარე დონის გადასასვლელი სოფ. ვიხოვსკის მახლობლად, მაგრამ მტერი უკუგდებულ იქმნა არსენევის მიმართულებით მტერი სოფ. ალიკოვისკენ განვდევნეთ, ცარიცინის მხრით სოფ. ჩაკურნიკი ჩვენ ავიღეთ, დამარცხებული ყაზახები უკან იხევენ. ხელთ ვიგდეთ ზარბაზნები, ტყვეები და სხვა დავლა. მტრის დევნას განვაგრძობთ ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენმა ჯარმა აიღო სუტ. რომანოვსკი. სტანიცა „კავკაზსკაია"-ში ჩვენს მხარეზე გადმოვიდა ორი როტა ახლად გაწვეულ გლეხებისა.

პეტროგრადი, 18 ოქტ. ვიბორგში საალყო წესებია. მუშებში მღელვარებაა რკინის სადგური ჯარმა დაიკავა.

ბერლინი, 18 ოქტ. ვარშავაში ხმებია დირექტორიის შედგენის შესახებ. მემარცხენე რადიკალების წრე ასახელებს დაშინსკის, მორაშევსკის და სხვ. რევოლიუციონური განწყობილება იზრდება, შესაძლებელია ძალა უფლება ხელში ჩაიგდოს უკიდურეს სოციალისტურმა კოალიციამ. ბალშევიკური გავლენა იზრდება ქალაქის ღარიბთა უბანში. გერმანელების წასვლის შემდეგ ... ხელში ჩასაგდებად აარსებენ ბალშევიკურ კომისარიატს.

კიევი, 17 ოქტ. სოფიის მოედანზე უკრაინელებმა მანიფესტაცია გამართეს. რუსეთის საზღვართან მდგარმა გერმანელმა ჯარმა უკრაინაში ათი ვერსით უკან დაიხია. უკრაინის შეკითხვაზე ამერიკამ უპასუხა, რომ საზავო კონფერენციაზე მას სურს იხილოს მთელი რუსეთის წარმომადგენელნი.

ახალი ამბავი

✦ **საქართველოს ჯარების პარადი.** გუშინ ტფილისში მყოფ რეგულიარულ ჯარების ნაწილთა პარადი გაიმართა. სასახლისა და სამხედრო საკომენდანტოს წინ, რომელსაც დაესწრო სამხედრო მინისტრი და სხვა პირნი. პარადმა ფრიად კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. დაწვრილებით ხვალ დავსწერთ.

✦ **სომხეთა უტიფრობა.** გუშინ, ოქტომბრის 21-ს კინაღამ შეტაკება მოხდა ქალაქის მილიციონერთა და იმ ჯარის შორის, რომელიც იცავს სომხეთა იარაღის საწყობს მანთაშევის ქარვასლაში. აქ ყოფილა დაპატიმრებული ვინმე სიხარულიძე ოთხი დღის განმავლობაში, როდესაც მილიციის უფროსი ბ. ურუშაძე მისულა მილიციონერებით მის გასანთავისუფლებლად—მათ იარაღი მოუმზადებიათ და არ გაუშვიათ მილიციონერები. ტფილისში ეს მეორე მთავრობის წარმომადგენელნი იმდენად გათავხედებულან, რომ როდესაც მილიციის უფროსი წამოსულა შეტაკების თავიდან ასაცილებლად, მათ ტყვიის მფრქვევლები დაუმზადებიათ—ქართული ჯარი მოვა და წინააღმდეგობა გავუწიოთო. საქმეში ჩაერივნენ მთავრობის წარმომადგენელნი, სომხეთა წარმომადგენელი ჯამალიანი და სხვ. დაწვრილებით ხვალ.

✦ **სტენოგრაფიული ანგარიშები საქ. პარლამენტის** სხდომებისა მთავრობის გადაწყვეტილებით ცალკე ფურცლებად გამოვა.

✦ **ლექციები ნაძალადევში.** დღეს, საღამოს 7—9 საათამდე ნაძალადევის თეატრის შენობაში ექ. ტურიაშვილი წაიკითხავს ლექციას „ჰიგიენაზე", ხოლო ამხ. ქრისტ. რაჭველიშვილი: საქართველოს საზოგადო მიმდინარეობანი მე-19 საუკუნეში. პირველი ლექცია დაიწყება 7 ს. მეორე 8 ს.

✦ **სტუდენტთა კრება.** ოთხშაბათს, ოქტომბრის 23 დანიშნულია სახელ. უნივერსიტეტში კრება ს--დემ—ტიულ „ალიონის" ჯგუფის თანამგრძნობ სტუდენტებისა. ფრიად საჭირო და საყურადღებო კითხვებია გასარჩევი. კრება გაიხსნება ლექციების გათავების შემდეგ.

მიწის საკითხი

(შემდეგი *)

ჩვენს პროექტში, თემების ნაცვლად, სახელმწიფო გამოდის როგორც უმაღლესი განმკარგულებელი და მთავარი რეგულიატორი ფონდში გადასულ ყველა მიწებისა. ჩვენ აღვნიშნეთ პოლიტიკური და სოციალური მიზეზები, რის გამო უზენაესობა ამ საკითხში დღეს სახელმწიფოს უნდა ვაკუთვნოთ.

მაგრამ ამას დიდად უშლის ხელს ჩვენს ხალხში გამჯდარი ფსიხიკა, რომელსაც აქვს თავისი ტრადიცია ფრიად გაღრმავებული რუსეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოს ისტორიით. და ყველაზე უწინ ჩვენი პარტია უნდა შეებრძოლოს ამ ტრადიციას და საქართველოს სახელმწიფო მიაღეპინოს ქართველ დემოკრატიას არა მარტო როგორც ფაქტი, არამედ როგორც უცილობელი ფორმა ჩვენი დემოკრატიის განვითარებისათვის. გარდა ამისა, მიწით სარგებლობის საკითხს ჩვენ ვერ მივანდობთ თემებს და თვითმართველობებს. საქართველოს ტერიტორიაზე ხოგან კომპაქტიურად არიან დასახლებულნი უცხო ერის წარმომადგენელნი: სომხები, რუსები, ოსები, ნემცები და სხვა. ამ საკითხის სრულ მათ განკარგულებაში დატოვება ჯერ ხანად მაინც შეუძლებელია... სამწუხაროდ დემოკრატიის შეგნება ჯერ კიდევ ვერ მისულა იმ დონემდე, რომ მათ შორის სრული ჰარმონია და მარტო შრომის ინტერესის შეგნება იყოს. და დღეს თემი შესაძლოა კასტად გარდიქცეს, თავისი კარები მაგრა ჩაიკეტოს და უცხო ელემენტი ან სულ არ შეუშვას, ან მტრულად მოეკიდოს მას. აქ საჭიროა მაგარი ხელი სახელმწიფოსი, რომელიც ერთგვარ ნეიტრალიზაციას მოახდენდა ამ შემთხვევაში.

მაგრამ სუვერენულ სახელმწიფოს ამ შემთხვევაში არ შეუძლიან თავის ქვეყანა წინასწარ არ უზრუნველყოს ყოველგვარ შესაძლოებისაგან. მას არ შეუძლია არ იხელმძღვანელოს თუ გნებავთ სტრატეგიულ მოსაზრებით, რომ პატარა ერის დამოუკიდებლობა თავდაცვისათვის მუდამ მზად იყოს. ამ მხრით ჩვენს საზღვრებს უნდა დიდი ყურადღება მიექცეს და ქართველობას ფართო გზა უნდა გაუხსნას საკოლონიზაციოდ საზღვრებთან.

იქედან, საცა მიწის სიმცირეა, ხალხი ერთგვარის სისტემით და თანდათანობით უნდა დასახლებულ იქმნას ჩვენს აჭრელებულ საზღვრებთან და სახელმწიფომ მას სათანადო დახმარება უნდა გაუწიოს, როგორც წვრილ, ისე სამელიორაციო კრედიტით, ინსტრუქტორების დანიშვნით და სხვა. მარტო სახელმწიფოს შეუძლია გაუძლვეს ყველა ამას და არა რომელსამე წვრილ ერთეულს, რომელსაც არ ძალუძს საერთო პოლიტიკური გზით აწარმოოს იგი.

უეჭველია ამ პროექტში ბევრს გააოცებს მიწის (ნორმის ქვევით, რომელიც კიდევ უნდა შემცირდეს) ყიდვა-გაყიდვის უფლების დატოვება, რადგან ჩვენ მუდამ ვამბობდით: მიწა ყველასია და არავისა აქვს უფლება გაყიდოს, ან იყიდოსო. მაგრამ ეს მხარე ეხება მარტო ნორმის ქვევით დარჩენილ მიწებს, რომელიც უეჭველია შეუზღუდველ საკუთრებად დასტოვა რევოლიუციამ და რომლის ეხლა შეზღუდვა ხელახალ რევოლიუციას მოითხოვდა. ჩვენ კი გვგონია, რომ ეს სრულ კატასტროფამდე მიგვიყვანდა და ვცდილობთ განვამტკიცოთ ის რაც უკვე მოგვცა რევოლიუციამ.

მაგრამ, როგორც აღვნიშნე, ამ საკითხს აქვს მეორე მხარე: ნორმის ქვევით დარჩენილ მიწებზე ყიდვა-გაყიდვის უფლების მოსპობა სრულიად არ ნიშნავს კერძო საკუთრების მოსპობას, რადგან გლეხი თუმცა არ ყიდის მიწას, მაგრამ იგი მას ფლობს, როგორც მესაკუთრე, მემკვიდრეობის წესით. და ჩვენი მიზანია შევქმნათ ისეთი პირობები, რომ ნორმის ქვევით დარჩენილი მიწები გადავიდეს სახელმწიფო ფონდში. რასაკვირველია უფრო ადვილი და მისაღები იქნებოდა, რომ ეს მიწები მარტო სახელმწიფოს შეესყიდა, ეხლავე მაგრამ ეს იქნებოდა ერთგვარი ძალადობა ამ წვრილ მესაკუთრეებზე, რომელიც კარგ ნაყოფს არ მოგვცემდა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ მტრულ განწყობილებას სახელმწიფოსადმი, რომელიც, სამწუხაროდ, დარჩენილა ჩვენს ხალხში. სრულიად ბუნებრივად აიღებს ხელს მიწაზე გლეხობა, როცა მას სასარგებლოდ მიეცემება მიწა ნორმის მიხედვით. მაგრამ მესაკუთრის ინსტინქტი მას ხელს არ აღებინებს, თუ რაიმე სასყიდელი არ მიეცა შიგ. მეტყვიან—კერძო პირები შეისყიდიან მიწას და სახელმწიფოს უპირატესობა ცარიელი სიტყვა იქნება, რადგან კონკურენციას ვერ აიტანდაო.

ეს შესაძლებელი იქნებოდა კაპიტალისტურ მეურნეობაში, მაგრამ რაკი ნორმაზე ზევით მიწას ვერავინ შეისყიდის და ნორმის ფარგლებში სრულიად შეუძლებელია კაპიტალისტურ მეურნეობის გაჩაღება, ცხადია აქ სახელმწიფოს უპირატესობა ყველაფერს ნიშნავს—მისთვის არავითარი ნორმა არ არსებობს. ასევე ითქმის ყოფილ მემამულეებზე, რომელთაც აღარ სურთ დატოვების ნორმებში მეურნეობის წარმოება და არც ხორცმეტობა უნდათ. მათი მიწებიც სულ უნდა გადავიდეს სახელმწიფოს ხელში ამა თუ იმ სახის საფასურით, თუნდაც იმ გაუმჯობესობისთვის, რომელიც მათ დახარჯეს წარმოებაზე.

ბევრი ამ გზას ალბად სოც.-დემ. აწ გახსენებულ მუნიციპალიზაციას მიამგვანებს, რადგან იქაც ვნახავთ ყიდვა გაყიდვის და დაქირავებულ შრომის დაცვას. მაგრამ ანალოგია უადგილოა სრულიად. მუნიციპალიზაციის მიზანია სოფლად კაპიტალიზმის შეჭრა, როგორც ერთად ერთ გზის სოციალიზმისაკენ, კაპიტალისტური ტიპის მეურნეობა უნდა გაჩაღდეს და ამიტომ მის სტიქიას არა თუ რაიმე საზღვრებს უდებს მუნიციპალიზაცია, არამედ ხელს უწყობს. ჩვენი მიზანი კი სოციალიზაციაა და ეს პროექტიც ერთი ეტაპია მისი. ყიდვა გასყიდვა და დაქირავებული შრომა მაქსიმუმამდე შეზღუდულია აქ კანონით, რადგან არავის შეუძლია ნორმის ზევით იყიდოს მიწა და ცხადია დაქირავებულ შრომასაც მარტო ამ ნორმის ფარგლებში თუ მოიხმარს. ამრიგად, ვიმეორებთ, აქ ყოვლად შეუძლებელი ხდება მსხვილ კაპიტალისტურ მეურნეობის გაჩაღება, მაგრამ შესაძლებელია და საჭიროც ამ წვრილ სამეურნეო ერთეულებთან აღორძინდეს სხვილი კოოპერატიული მეურნეობა ამხანაგობა—ასოციაციების სახით.

ამ კოოპერატიულ ერთეულებს დიდი მომავალი მოაქვთ ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან მარტო მათ შეუძლიათ რაციონალურ ინტენსიურ მეურნეობის გაჩაღება. მაგრამ ვიდრე იგი ფეხს მოიკიდებდეს, სახელმწიფოს სპეციალურმა ორგანოებმა უნდა მიაქციონ ამას განსაკუთრებული ყურადღება და სათანადო ნიადაგი განუმზადონ ასეთ ერთეულებს. მარტო სახელმწიფოს შეუძლია დღეს დღეობით ყველა ამის გათვალისწინება, რადგან მასის შემეცნება ფრიად ჩამოქვეითებულია და თავის შეგნებით და ძალით მას არ შეუძლია ინტენსიურ მეურნეობას მიყოს ხელი. დედამიწაზე ცოტა მოიპოვება ისეთი მდიდარი ბუნება, რომელიც პირდაპირ გამზადებულია მეურნეობის უმაღლეს ტიპისათვის, როგორც საქართველოა. მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ჩვენში მიწის ენერგიის დიდი სიუხვეა. ასევე მარავალია პროდუქციები ორგანიულ მასათა, ჩვენში ხანგრძლივი ზაფხული იცის—სითბო დიდის ხნის განმავლობაში გრძელდება, ჰავა არ არის სასტიკი, გამონაკლისებულია, რომ წვიმა და ცვარი სრულიად საკმაო იცის. ყველა ამას დაუმატეთ ადრიანი ზაფხული, რომელიც ხილეულობას და ნაყოფს შედარებით ადრე ამწიფებს და ამით დიდ გასავალს აძლევს უცხო ქვეყნებში—უხსნის ბაზარს... მაგრამ მეურნეობა პირველყოფილ ტიპისაა და ამიტომ ნურავის გაუკვირდება, რომ თუ დანიაში დესეტინა იძლევა 200 ფ., გერმანიაში 150 ფუთს, ჩვენში 60 ფუთს საშუალოდ. და რაც მეტი ველურობაა ხორბლეული ითესება იქ, საცა ბუნება ხელს უწყობს უმაღლეს სამეურნეო კულტურას. თუ აგრარულ საკითხს აქვს ჩვენში: პოლიტიკური, ეკონომიური, ფინანსიური და სახელმწიფოებრივი მხარეები, მიწის საკითხს ყველაზე უწინ აქვს მხარენი: აგრიკულტურისა, ბაზრისა და კრედიტისა, ყველა ამას მარტო კოოპერატიული კაპიტალი გადაჭრის სათანადოდ და სახელმწიფოს მიზანია გზა გაუკაფოს თვითმოქმედ ამხანაგობებს, საამისოდ მას ჯერ ძალა უნდა მივსცეთ და უწინარეს კი მიწები.

ეხლა, აშკარაა, კონფერენციას აინტერესებს—რა მდგომარეობაშია მიწის საკითხი საქართველოს პარლამენტში მგონია, არავისთვის არ შეადგენს საიდუმლოებას, რომ მიწის მფლობელობის კანონ-პროექტის ბედიც, როგორც ყველა დანარჩენისა საქ. პარლამენტში დამოკიდებულია გაბატონებულ ფრაქციაზე; და მაშასადამე ჩვენ გვინდა ვიცოდეთ—რას ფიქრობენ ამ საგანზე სოც.-დემოკრატები. მიწის მუნიციპალიზაცია

*) იხ. „სახ. საქ." № 381.

აფიცრის დაკარგვა. პორუჩიკი ევსევი ჩიქვანაია თებერვალში ამა წლისა იყო ქ. ადესაში. მას შემდეგ მის შესახებ არაფერი ვიცით. თუ ვინმემ რაიმე იცის გთხოვთ გვაუწყოთ: ნაოლალევი ოლღა ჩიქვანაიას.

შინაგან საქმეთა მინისტრი. ნ. რამიშვილი სამსახურის გამო ტფილისიდან წავიდა და თავის მოვალეობათა აღსრულება დააკისრა მის ამხანაგს საბახტარიშვილს.

ავსტრო-უნგრეთის საკონსულო. კავკასიაში მყოფ ავსტრო-უნგრეთის სამხედრო მისიის უფროსი ფრანკენ შტეინი ამ დღეებში ტფილისიდან გერმანიაში მიემგზავრება. ხოლო ტფილისში არსდება ავსტრო-ჰუნგრეთის გენერალური საელჩო.

სურსათის გაზიდვა. ამ უკანასკნელ დროს, ახალციხისა და ახალქალაქიდან და მის მაზრებიდან ოსმალოები ყოველგვარ შესაძლებელ სასურსათო ნაწარმოებს ჰკრეფენ და არზრუმისაკენ მიეზიდებიან.

ადგილების შენახვა. შრომის მინისტრმა სახაზინო პალატას განუმარტა, რომ იმ პირთ, რომელნიც რომელიმე დაწესებულებაში მსახურებდნენ და ჯარში მოხალისედ ჩაეწერნენ, ადგილები შეენახებათ მხოლოდ უჯამაგიროდ.

ხოლერა. რადგან ხოლერა უკანასკნელ ხანს ძლიერ შემცირდა სასანიტარო დაწესებულებათა უფროსმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა შემცირებულ იქმნას ექიმების რიცხვი.

აიოლოს მოხსენება. ოქტომბრის 20-ს სახალხო სახლში შესდგა გ. გ. აიოლოს მოხსენება ბაქოს ამბების შესახებ. დამსწრე საზოგადოებამ ერთხმივ რეზოლიუცია გამოიტანა, რომლითაც თანაგრძნობა გამოუცხადა ბაქოს უბედურების მსხვერპლთ და ზიზღი შეუთვალა ოსმალეთ-ადერბეიჯანელთა „ბანდებს“ ბაქოს აწიოკებისათვის.

სახელმწიფო უნივერსიტეტში სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტი. სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტზე უკვე ყველა პროფესორი კითხულობს ლექციას თავის საგნის შესახებ.

— სამკურნალო ფაკულტეტი. ხარკოვიდან ჩამოვიდა ანატომიის ცნობილი პროფესორი ალ. ნათიშვილი, რომელიც სამკურნალო და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე წაიკითხავს თავის სპეციალური დარგიდან (ანატომიიდან) ლექციებს.

— სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი ვ. მოსეშვილი უკვე დაბრუნდა ქუთაისიდან და თავის ფაკულტეტის მოწყობას შეუდგა.

— სამათემატიკო ფაკულტეტი. ტფილისში ჩამოვიდა მათემატიკის პროფესორი ანდრია რაზმაძე.

შეწირულება უნივერსიტეტისათვის კახეთის რკინის გზის გამგეობამ და სამმართველომ გზის გამგის ა. წივწივაძის ხსოვნის აღსანიშნავად უნივერსიტეტს 500 მან. შესწირა.

საქართველოს და გერმანიის საეკონომიო დამოკიდებულება. გერმანიიდან ტფილისში ჩამოვიდა გერმანიის საეკონომიო უწყების რწმუნებული ბ-ნი კანდი, რომელსაც დავალებული აქვს სასურველად დააბოლოვოს გერმანიასა და საქართველოს შორის საეკონომიო დამოკიდებულების შესახებ მოლაპარაკება.

ფოლადი სტამბოლიდან ბაქოსკენ. ავსტრიის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოს მთავრობის წინაშე შუამდგომლობს რათა ნება მიეცეს საქართველოს ტერიტორიაზე გავლისა სტამბოლიდან ბაქოსაკენ მიმავალ ტრანსპორტს, რომელიც „ბაქსონიტოს“ ფირმის ფოლადითაა დატვირთული.

ნავთი. საქართველოში ნავთის განსაზღვრულ რაოდენობის შემოტანის გამო რკინის გზის მოსამსახურეებს თვეში 10 გირვანქა ნავთი ეძლევათ ფუთი 16 მანეთად.

შაქარი. სასურსითო საბჭომ უკვე გაანაწილა შაქარი ტფილისის კოოპერატივებისა და სასურსათო დუქნებისათვის. შაქარი ამ დღეებში დარიგდება.

სამხედრო მინისტრის განკარგულებით. სამხედრო მინისტრმა განკარგულება გასცა სამხედრო უწყებათა და დაწესებულებათადმი, რომ მათ საქართველოში მყოფ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან დამოკიდებულება სამხედრო სამინისტროს საშუალებით იქონიონ.

რკინის გზის მოსამსახურეთა კავშირი. საქართველოს რკინის გზების მოსამსახურეთა კავშირმა თავის კრებაზე აირჩია პრეზიდიუმი, პრეზიდიუმში შედიან: დიდიძე, მეგრელიშვილი, ძამანიშვილი, ბოკერია და ლაღიძე.

ქ. თავრიზის ყოფილ გარნიზონის მხედართა კულტურულ განმანათლებელ წრის თავმჯდომარის რ. ჩიხლაძისაგან უნივერსიტეტმა 6000 მანეთი მიიღო აღნიშნულ წრისაგან შემოწირული.

კონკურსი საქართველოს გერბისათვის ოთხშაბათს ოქტომბრის 23-ს, სასახლის დარბაზში შედგება ყველა მხატვართა კრება, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ საქართველოს რესპუბლიკის გერბის დახატვის კონკურსში.

გაძარცვა. ოქტომბრის 20-ს გლდანის შუკაზე ბოროტ-მოქმედებმა გაძარცვეს კულდახანოვი, რომელსაც 4000 მანეთი წაართვეს.

ქურდობა. ოქტომბრის 19-ს პეტროგრადის ქუჩაზე ბოროტმოქმედებმა ოსტანოვის ფეხსაცმელების მაღაზიიდან მოიპარეს დამზადებული ფეხსაცმელები და ტყავეულობა 10,600 მანეთად ღირებული.

დაჭრა. ოქტომბრის 18-ს გონჩარის ქუჩაზე, ა. გირანმა ქონების გაყოფის დროს რევოლვერით დასჭრა: გ. არდასევსკი, ე. ბოტოვი, და თავის 10 წლის ბიძაშვილი და შემდეგ თვითონ დაიჭრა თავი. ყველა დაჭრილები მიხეილის საავადმყოფოში მოათავსეს.

სასწავლებლებში. განათლების მინისტრმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე გადაიდოს 100,000 მანეთი იმ მასწავლებელთა და საგანათლებო მოხელეთა სალიკვიდაციოდ, რომელნიც შტატს გარეშე დარჩნენ.

შუამდგომლობა. ქალაქ ზესტაფონის მცხოვრებმა მეთოდე ქათამაძემ განათლების მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა მან უშუამავლოს გზათა მინისტრთან, რომ სადგ. მარელისიდან ზესტაფონამდე შემოღებულ იქმნას ერთი სამოსწავლო ვაგონის მიმოსვლა აღნიშნულ სადგურიდან მოწაფეთა სასიარულოდ ზესტაფონის სასწავლებლებში.

ბოროტმოქმედება. სამხედრო მინისტრის განკარგულებით ს. ნიგოითის სამაზრო კომისარმა გაჩხრიკა ფოთის სასურსათო მაღაზიის გამგედ ნამყოფი არეშიძე. არეშიძეს ბევრი მოპარული სახაზინო ნივთები აღმოაჩნდა. სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა არეშიძის დატუსაღებისთვის.

კომისია. სამხედრო მინისტრის განკარგულებით შესდგა კომისია იმ სახაზინო ბინების შესაფასებლად საქართველოს რესპუბლიკის ყველა პუნქტში, ოფიცრებსა და საკლასო მოსამსახურეებს რომ უჭირავთ.

საქართველოს სახაზინო ფონდისთვის. სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილებას ალექსანდრე ხაბელიანმა გადასცა 124 სპილენძისა და 36 ვერცხლის ფული საქართველოს სახაზინო ფონდისთვის.

ქართ. სამუსიკო საზოგადოების გამგეობამ გამოაცხადა მეტად საყურადღებო ციკლი კვარტეტის კონცერტებისა: გერმანულ, რუსულ, ფრანგულ, სკანდინავიის და ქართულ მუსიკისა. პირველი კონცერტი დანიშნულია შაბათს, ოქტომბრის 26-ს ნ. დ. ნიკოლაევის (ფ-პ.) და ქართ. სამუსიკო სკოლის კვარტეტის მონაწილეობით.

დაჭრა. ოქტომბრის 19-ს, საღამოს 8 საათზე, პუშკინის ქუჩაზე ვიღაც უცნობმა რევოლვერის რამოდენიმე ტყვიით დასჭრა ვინმე ასლამაზოვი და მიიმალა.

გერმანელთა ჰაეროპლანები. ამ ბოლო დროს მთვარიან ღამეებში, ტფილისის მაღლა გვიანობამდე დასრიალობს გერმანელთა რამოდენიმე ჰაეროპლანი და ღრუბლებში უშვებენ ფერად შუშხუნებს, რაც ლამაზ ეფექტებით ამკობს ტფილისის ღამეებს და მოსიარულეთა ყურადღებას იწვევს.

გამოცემანი. გამოვიდა საქართველოს ქალაქთა კავშირის ორგანო ჟურნალი „კავკასიის ქალაქი“. ჟურნალში მოთავსებულია წერილები და მასალები საქალაქო, საერობო, სალიტერატურო ხასიათისა, ქრონიკა, სახალხო უნივერსიტეტის წესდება და სხვა.

ახალი წიგნი. მივიღეთ ახლად გამოცემული წიგნი ქართულად: „საბავშო ზღაპრები“, ბუნების მეტყველებიდან ოთხი მოთხრობა თარგმნილი და გადმოკეთებული კატო ბურჯანაძის მიერ.

სომეხთა „სახალხო პარტია“. ამ დღეებში ტფილისში „სომეხთა სახალხო პარტიის“ ინიციატივობით შესდგა მდიდარ სომეხთა კრება. „სახალო პარტიის“ წარმომადგენლებმა დაარწმუნეს უკანასკნელი, რომ სომხის ერის შველა შეუძლიან მხოლოდ ამ პარტიას და ამისათვის საჭიროა გადაიდოს თანხა აგიტატორების სხვა და სხვა ადგილას დასაგზავნად. შეძლებულები პარტიას დაჰპირდნენ 500,000 მანეთს.

კრებები

ყრილობა. ოქტომბრის 18-ს ნაშუადღევის 2 საათზე გაიხსნა სამხედრო ექიმთა პირველი ყრილობა. დაესწრო ყრილობას 54 ექიმი. თავმჯდომარედ ამორჩეულ იქნა ექიმი დ. ახვლედიანი. მის ამხანაგად ექიმი იშხნელი და მდივნებად ექიმები სიმონიშვილი და ნ. ერისთავი. პირველ კრებაზე ყრილობამ ერთხმად მიიღო წინადადება გაეგზავნოს მისალმების დეპეშები საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, მთავრობის პრემიერს, სამხედრო მინისტრს და სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

ტფ. საგუბერნიო ყრილობა. კვირას, ოქტომბრის 20-ს შესდგა საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის საგუბერნიო ყრილობა. ყრილობას დაესწრნენ: სიღნაღის, თელავის და გორის მაზრისა და ტფილისის ორგანიზაციათა წარმომადგენლები. ყრილობამ მოისმინა ტფ. საგუბერნიო კომიტეტის მოხსენება, რომელიც წაიკითხა ამხ. მაქს. ბერძნიშვილმა. იყო მსჯელობა მიმდინარე საკითხების შესახებ და არჩეულ იქმნა ახალი საგუბერნიო კომიტეტი და სარევიზიო კომისია. კომიტეტის წევრებად აირჩიეს: მაქს. ბერძნიშვილი, ისიდორე სტურუა, ვ. მუსხელიშვილი, ქაიხ. ქავთარაძე, გ. სულთანიშვილი, ვ. კოტეტიშვილი, კ. ბარათაშვილი, ქ. კარიჭაშვილი, ა. იოსელიანი, გ. ანანიაშვილი და ესტ. ავალიშვილი. მათ კანდიდატებად ი. მერკვილაძე, მიხ. აბრამიშვილი და ვ. ბალიაშვილი. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქმნენ: ს. აბულაძე, ს. ფაშალიშვილი და ნიკ. ლეჟავა.

პარლამენტის გარშემო

პროექტები.

საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმს წარედგინა კანონ-პროექტი საქართველოს განაპირა კუთხეებისა და კერძოდ სამეგრელოს ადგილობრივ საქმეთა მოსაგვარებლად ცალკე საპარლამენტო კომისიის დაარსების შესახებ.

საპარლამენტო კომისიებში.

საქ. პარლამენტის იურიდიულ კომისიაში მუშავდება კანონ-პროექტები: სახელმწიფოს კონტროლის შტატების, საქართველოში ნაფიც მსაჯულთა შემოღებისა და ბათომის, ახალციხის, ახალქალაქის მომრიგებელ სასამართლოების გაუქმების შესახებ.

სამიწათმოქმედო კომისიაში

სამიწათმოქმედო კომისიამ თავის უკანასკნელ კრებაზე განიხილა მიწათმოქმედების მინისტრის კანონ-პროექტი კერძო მესაკუთრეთაგან სახელმწიფოს ხელში გადასულ ტყეების ექსპლოატაციის შესახებ. კომისიამ ამ კანონში რამოდენიმე არსებითი მნიშვნელობის ცვლილება შეიტანა და საერთოდ მიიღო.

საქართველო და უცხოეთის პრესა

საქართველო დღეს მოწყვეტილია რუსეთს. ეს გარემოება ნებას აძლევს საქართველოს მრავალ მტრებს ავრცელონ ყალბი და თან სენსაციური ხმები ჩვენ შესახებ რუსის საზოგადოებაში და ამით ძირი გამოუთხარონ ქართველი ერის დამოუკიდებლობას. ამ საქმეში ერთად არიან რუსის სოციალისტები და არა სოციალისტები, კადეტები თუ მონარქისტები.

ხარკოვის სოც.-დემოკრატიულ გაზეთ „გოლოს იუგაში“ ვინმე უსპენსკაია ათავსებდა წერილებს კავკასიის შესახებ, სადაც ჩვენი დამოუკიდებლობა სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა. ქართველთა ჯარი, რომელიც უმეტესად თავად-აზნაურობისაგან შესდგება, სწერდა უსპენსკაია, სდგას საქართველოს სამხედრო გზაზე და სძარცვავს და გლეჯავს რუსებსა და სომხებს, რუსეთისაკენ მიმავალთაო. მისის აზრით ქართველი ჯარი არაფრით ჩამოუვარდება ძარცვა-გლეჯაში ბოლშევიკურ ბრბოებს. საქართველოს რესპუბლიკას—„კუკურუზნაია რესპუბლიკას“ უწოდებდა ირონიულად... და ასე ამ გვარად ხშირად ყოფილა სოციალისტურ პრესაში გაშუქებული საქართველოს ვითარება. „კიევსკაია მისლში“ ხშირად იბეჭდებოდა „კავკასკოე სლოვოდან“ გადაღებული ცნობები და წერილების ნაწყვეტები განსაკუთრებით ვენი „სახელოვანი“ თანამემამულის ლევან ყიფიანისა, სადაც ხსენებული ჟურნალისტი თავისებურად „ამკობდა“ სამშობლოს. მაგრამ პირველობა საქართველოს სახელის გატეხის ცდაში სომხის ჟურნალისტებს ეკუთვნით. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ძნელი იყო ჟურნალ-გაზეთების მიღება კავკასიიდან, სომხები რაღაც განგებით შოულობდნენ ყველა იმ გაზეთებს, სადაც იყო მათთვის „მადლიანი“ მასალა ქართველთა დასამცირებლად. „პრიაზოვსკი კრაიში“ ჩალხუშიანმა ისეთი ატმოსფერა შექმნა საქართველოს საკითხის გარშემო, რომ გულუბრყვილო მკითხველს ეგონებოდა. საქართველოში მხოლოდ კაცის კვლა, ძარცვა-გლეჯაა გამეფებული, თავისუფლების აჩრდილიც აღარ არსებობს, მხოლოდ შოვინიზმს გაუკეთებია მკვიდრი ბუდე, სიძულვილი სომხებისა და რუსებისადმი უმაღლეს მწვერვალამდის ასულაო. ხსენებული მწერალი თუ როსტოვისკენ მოღვაწეობდა, სამაგიეროდ ხარკოვში სახელი გაითქვა ამავე დარგში ექიმმა მელიქიანცმა. რომელიც ხარკოვის სომეხთა ნაციონალურ საბჭოს თავმჯდომარედ ითვლება. შევჩერდეთ ამ უკანასკნელთან. ხარკოვის „რუსკაია ჟიზნის“ აგვისტოს 31, №-ში ექიმი მელიქიანცი აწვდის რუსის საზოგადოებას შემდეგ ცნობებს თავის წერილში, რომელსაც აქვს ძყვირალა სახელ წოდება: „სომეხთა ერთგულება რუსეთისადმი“.

„ამიერკავკასიის სეიმის მოღალატურ პოლიტიკის წყალობით, სწერს მელიქიანცი, ამიერკავკასია არამც თუ ჩამოცილდა რუსეთს, კიდეც გაიყო სამ დამოუკიდებელ რესპუბლიკად: რესპუბლიკა საქართველოსი, არარატისა და ადერბეიჯანისა. ამ ბოროტ საქმეში პირველობა იგრუნეს ქართველმა მენშევიკებმა სახელგანთქმულ „ინტერნაციონალისტების“ ჟორდანიას, წერეთლის, ჩხეიძის, რამიშვილის და ჩხენკელის მეთაურობით, რომელნიც დაეყრდნენ წინდაწინვე გარეშე იმპერიალისტურ ძალას. ამ იმპერიალიმტურმა ძალამ, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების თითქმის მეორე დღესვე დაიკავა ტფილისი და ყოველნაირად ცდილობდა განემტკიცებინა საქართველოს დამოუკიდებლობა“.

ამცნო რა მელიქიანცმა მოღალატეობა ქართველი მოღვაწეებისა, მას უნდა დაამტკიცოს უსუსურობა მათის პოლიტიკისა და განაგრძობს, რომ გერმანიის დიპლომატია დარწმუნდა ბოლოს, რომ შეუძლებელია საქართველოს, სომხეთის და ადერბეიჯანის დამოუკიდებელი არსებობა; ამიტომ, გერმანია დღეს იმის ცდაშია, რომ აღადგინოს ისევ მთლიანი ამიერკავკასიის რესპუბლიკაო. ამის დასამტკიცებლად მოჰყავს პროფ. ცუგმაიერის აზრი. „ჩვენ ვცხოვრობთ საკვირველ დროს, დიდი პოლიტიკა ხანდახან გადაწყდება ხოლმე 24 საათში“; ფილოსოფოსობს მელიქიანცი. საქართველოს მთავრობას ასე ახასიათებს იგი:

„საქართველოს მთავრობა „ინტერნაციონალისტ“ ნ. ჟორდანიას მეთაურობით აწარმოებს შოვინისტურ პოლიტიკას. სისწრაფით ახდენს ნაციონალიზაციას ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში, ქუჩაში ჰყრის ათასობით სასარგებლო მუშაკთ ქართულის უცოდინარობის გამო. საქართველოს მთავრობის დამოკიდებულება სომხებთან და რუსებთან უაღრესად უტაქტოა“.

ამის შემდეგ მელიქიანცი გადადის სომეხთა ცხოვრების დახასიათებაზე.

„გარდახვეწილნი სადღაც ერევნისა და განჯის გუბერნიებში, სომხეთი განიცდის პირდაპირ შიმშილს. სომხეთი სავსეა ლტოლვილებით. გარშემორტყმულია მარტოკა მტრებით. მრისხანე გასაღები ამიერკავკასიისა—ყარსი გადაეცა თათრებს მხოლოდ და მხოლოდ ჩხენკელის

მათგან უკვე აშკარად მიტოვებულია და ამასთან ერთად დატოვებულია უყურადღებოდ ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოების რაიმე უფლება მთელ მიწებზე. უკვე გადაჭრილად შეგვიძლია ჩავთვალოთ ამ კითხვის ბედი: სოც.-დემ. დღეს არა თუ ანგარიშს უწევს გლეხობაში არსებულ მესაკუთრის ინსტიქტებს და არა თუ მინიმუმს უთმობს მას, რომ სოციალიზმს ახალი ძლიერი მტერი არ გაუჩინოს, არამედ იგი ზედმეტი გადაფასებით ეკიდება ამ ინსტიქტს და მასზე სურს აგოს ახალი აგრარული რეფორმა—იგი სთმობს მაქსიმუმს—ყოველივეს. მას უნდა ამა თუ იმ სახის საფასურით, სახელმწიფოს ფონდში დაგროვილი მიწები გლეხებს მიუზომოს სრულ, შეუზღუდველ კერძო საკუთრებად, სურს საშვილიშვილოდ დააკანონოს მაზე გლეხის უფლება და ნაწილობრივ შერყეული პრინციპი კერძო საკუთრებისა მიწაზე ხელ ახლა უაღრესად განამტკიცოს. აქ ისინი დიდ ანგარიშს უწევენ სახელმწიფოს ფინანსების უმწეობას, მაგრამ კიდევ უფრო მეტ ანგარიშს უწევენ თვითონ გლეხობის სურვილს, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიწები ფულით შეიძინოს (რაც დღემდისაც შეეძლო მას მემამულეებისაგან) და იძულებული არიან მცირედი ფასი სულ სხვა სახით (დანახარჯის ანაზღაურება, საკრედიტო დაწესებ. ქაღალდების გამოსყიდვა) აუნაზღაურონ სახელმწიფოს. ამ რიგად აზრი თუმცა ნათელია, მაგრამ მის სრულ განხორციელებას (ფასით მიყიდვას მაინც ვერ ბედვენ).

მეორე მხრით დემოკრატიული სახელმწიფო, რომელსაც ხათავეში სოციალისტები უდგანან და რომლის განკარგულებაში გადასცა რევოლიუციამ მიწები, ნაცვლად საზოგადოებრივ საკუთრების განმტკიცებისა, აღრმავებს კერძო საკუთრებას და მით სასიკვდილო მახვილს სცემს სოციალიზმისთვის უცილობელ ორსავე მხარეს: სუბიექტიურსა და ობიექტიურს. ამაზე მეტად წინააღმდეგობაში ჩავარდნა და თავის თავის უარის ყოფა წარმოუდგენელია. აშკარაა აქ ისინი არავითარ არსებით რეფორმას არ ახდენენ აგრარულ სფეროში, დროებით პოლიატივებს არჩევენ—დღეს უმატებენ გლეხის საკუთრებას და იციან, რომ ხვალ ისევ ასეთი მდგომარეობა შეიქმნეს.

მაგრამ ყველაზე მეტი ზიანი მათ მარქსიზმისათვის მოაქვთ ამ რეფორმით: თითქოს ძველ შეხედულებას გლეხობაზე, როგორც ბურჟუაზე, არ აქარწყლებენ და ხსნას კაპიტალიზმის განვითარებაში ეძიებენ, რომელიც სოფლად მოახდენს მასიურ პროლეტარიზაციას ბუნებრივის გზით.., მაგრამ, ამ გზას თვითონვე ელობებიან და ნახევრად გაპროლეტარებულ გლეხს კიდევ უმატებენ საკუთრებას, ამაგრებენ მის ბურჟუაზიულ მდგომარეობას და ალბად ხელახლა და უცდიან კაპიტალიზმის იძახებტურ ძალების სასწაულს—გლეხთა გაპროლეტარებას, რათა ამით განამზადონ ერთად ერთი გზა სოციალიზმისაკენ. მაგრამ თუ დღესაც ეს მიაჩნიათ ერთად ერთ გზად, ე. ი. თუ დღესაც ისინი მარქსისტებად რჩებიან—რაღას იგრძელებენ ხელოვნურად ამ გზას პროლეტარიზაციისაკენ? რაღად ეიძვიან თავის თავს? ასეთის წინააღმდეგობითაა სავსე ის მითომდა რეფორმა, რომელსაც ჩვენი სოც. დემ. აიხადებენ აგრარულ კანონ-პროექტის სახით. ასე მახინჯად და სრულიად არა სოციალისტურად სწყდება ეს საკითხი მათგან; ისინი სთმობენ იმას, რის დათმობასაც არ გვიკარნახებს დღევანდელი ობიექტიური პირობები და ავახსად მარხავენ ამ დიდ, საშვილიშვილო საქმეს, ასეთია ის კანონ-პროექტი, რომელსაც მიწათ-მოქმედების სამინისტრო იმუშავებს სოც.-დემოკ. რეცეპტით...

მართალია ამ კანონ-პროექტს ჯერ კიდევ არ მოუღწევია საპარლამენტო აგრარულ კომისიამდე, მაგრამ აქაც მისი ბედი შეგვიძლიან გადაწყვეტილად ჩავთვალოთ, რადგან მათ მთელის არსებით დაუჭერენ მხარს ნაც.-დემ. და უმეტესობა ამ რეფორმას „მოიწონებს“.

როგორც ხედავთ, ჩვენ სულ სხვა გვარად ვუცქერით საკითხს და დღევანდელ პირობებში ვსთმობთ მარტო იმას, რის დათმობასაც არსებული ობიექტიური პირობები მოითხოვს და ვცდილობთ განვამტკიცოთ ის, რის შერჩენაც კიდევ შესაძლებელია რევოლიუციის მოხაპოვარიდან.

ჩვენ ამ საკითხშიც გვინდა დადებითი, სახელმწიფოებრივი მუშაობა ვაწარმოოთ საქართვ. პარლამენტში და ამიტომ მარტო დეკლარაციით ვერ გამოვალთ. ცხადია, ჩვენ მოგვიხდება ბრძოლა სოც.-დემ. და ამით რამდენიმედ დაირღვევა შეთანხმება, მაგრამ დათმობას თავისი საზღვარი აქვს და მას რაც ჩვენს მრწამსს შეადგენს და რის განხორციელებაც დღეს სრულიად შესაძლებელია, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავთმობთ. მაგრამ ამ საკითხში უთანხმოება, არა გვგონია, კატასტროფიული იყოს სოციალისტურ ფრონტის მთლიანობისათვის და სახელმწიფოსათვის... ამნაირად დღეს კონფერენციამ ყველა ეს უნდა გაითვალისწინოს, არსებულ სინამდვილეს ფხიზლად შეხვდეს და არა საპროგრამო-სადეკლარაციოდ, არამედ სახელმწიფოებრივ მუშაობისათვის, სინამდვილესთან შეგუებულ კანონ პროექტისათვის სათანადო დებულებანი შეიმუშაოს. რადიკალურად გადასწყდებოდა ყველა ეს საკითხი შრომის პრინციპის შეულახველ გატარებით, მაგრამ დღეს ეს შეუძლებელია და კონფერენციამ ანგარიში უნდა გაუწიოს რეალობას, კერძოდ მიწის დეკრეტს, მარტის 7-ს, კანონს და საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს, ლოზუნგების დრო წავიდა და კონფერენცია სდგას პრაქტიკულ საკანონმდებლო მუშაობის და არა ექსპერიმენტების წინ..

აკაკი პაპავა.

დაჟინებით. ყოველივე ეს ხდებოდა ვითომდა ამიერკავკასიის ერთა საკეთილდღეოდ, მათ შორის სომხების სასარგებლოდაც; მაგრამ თათრებმა დიპლომატიური მოტყუებით აიღეს ყარსი და მიუხედავად ჩხენკელის რწმუნებისა გამოსწიეს წინ. ამ დროს, იმავე ჩხენკელშა და მისმა კომპანიამ სომეხთა დასახმარებლად ვერა გამონახა რა გარდა იმისა, რომ დაითხოვეს ამიერკავკასიის სეიმი და იქვე ერთი საათის შემდეგ ტფილისის სასახლის მეორე დარბაზში ლაღად-ჰყვეს საქართველოს დამოუკიდებლობა. ტფილისზე ასი ვერსით დაშორებული სომხის დემოკრატია რუს მოხალისეთა რაზმებთან ერთად პირდაპირ სისხლში იხრჩობოდა ოსმალებთან გამუდმებულ ბრძოლაში ქანც-მილეული. და აი, ამ დროს ტფილისში სასახლის წინ მენშევიკ „ინტერნაციონალისტი“ რამიშვილი სადღესასწაულოდ მორთული გერმანელ და ქართველ ჯართა პარადს მართავდა... ასეთია ინტერნაციონალი ამიერკავკასიის მენშევიკებისა. და ეს პირები ჰბედავდნენ და ჰლამობდნენ რუსეთის სათათბიროს კათედრიდან იმპერიალიზმის დამსხვრევას; სწამლავდნენ საუკეთესო რუსეთის შვილის პლეხანოვის სიცოცხლეს მხოლოდ იმისათვის, რომ მას უყვარდა თავისი სამშობლო. და ეს ვაჟბატონები პლეხანოვს სხვანაირს სახელს არც არქმევდნენ, როგორც სოციალ-პატრიოტს... მაგრამ მთელ ამ ჯგუფში, „დემოკრატიის ლიდერებში“, ყველაზე შავი როლი ეკუთვნის ა. ჩხენკელს.

როგორც ამიერკავკასიის პრესა ამტკიცებს, მთელი ამიერკავკასიის სიმაგრე, ბლაყაფის კარები კავკასიის სომხეთისა—ყარსი, ჩხენკელმა დაუთმო ოსმალეთს სომეხთა უმაღლეს ნაციონალურ საბჭოს იდუმალად და დაუკითხავად ამიერკავკასიის კომისარიატისა.

ყველა ამ ძლიერ მძიმე ბრალდებაზე ჯერეთ ჩხენკელისაგან პასუხი არა სჩანს და საქართველოს მთავრობის ოფიციოზმა „ბორბამ“ საჭიროდ სცნო ამის შესახებ მხოლოდ რამდენიმე სიტყვა დაუწერა: „ყარსის დათმობის საკითხი საჭიროებს ჯერ კიდევ ისტორიის მსჯავრსო“, თითქოს მოწმენი ამ შემზარავ დრამისა ჩაბარდნენ უკვე საუკუნეს და სიმართლის აღსადგენად საჭირო იყოს მრავალ ხნის მუშაობა ამიერკავკასიის კომისარიატის არხივში. მე ხელთა მაქვს ოფიციალური მოხსენება ამიერკავკასიის კომისარიატის ყოფილი წევრისა—ძამოიანისა, სადაც თეთრზედ შავად სწერია რომ ყარსი გადასცა ოსმალეთს ჩხენკელმა ამიერკავკასიის მთავრობის დაუკითხავად“ (Русская жизнь № 392, აგვისტოს 31).

(დასასრული იქნება)

დ. იაშვილი.

ერობა, ჩვენ და მენშევიკები

(წერილი დუშეთიდან)

ქართული გაზეთები ერთხმად აღნიშნავენ, რომ დუშეთის მაზრის გლეხები ჯერაც კარგა არ გარკვეულან, თუ რა არის საქართველოს სახელმწიფო, ან დღევანდელი მისი მთავრობა ერთიც და მეორეც მათ წარმოუდგენიათ როგორც თავად-აზნაურთა ბატონობის ასპარეზი და საწყალი ხალხის მჩაგვრელ-მძარცველი.

მას შემდეგ, რაც მთავრობამ თითქმის უმტკივნეულოდ ჩაქრო მოძრაობა დუშეთში, გვეგონა გლეხისთვის აშკარა გახდებოდა ვინაობა დემოკრატიული მთავრობისა, მაგრამ „ჩვენთვის არც გათენებულაო და არც გათენდებაო“ ფიქრობს თითქოს დამარცხებით განაწყენი გლეხი.

ასეთი გაურკვევლობა ჩვენი ხალხისა მეტად დამაფიქრებელია. სადამდის უნდა იყვეს ჩატეხილი ხიდი ხალხის და მთავრობის შუა? სოფლის მასწავლებელს, კოოპერატორს პარტიულ პროპაგანდისტს ჰმართებსთ, ამაზე ზრუნვა.

სექტემბრის 9-ს დუშეთის სოც.-ფედერალისტების ორგანიზაციამ გაითვალისწინა რა საერთო სულიერი განწყობილება და მიიღო მხედველობაში ჩვენი გლეხის უნდობლობითი დამოკიდებულება დღევანდელ მთავრობასთან, მიზანშეწონილად სცნო შეთანხმდეს საერობო არჩევნებში ს. დ—ს, ვინაიდან ჩვენ და ისინი დღეს შეთანხმებით ვმუშაობთ მთავრობის გაძლიერებისათვის. დაადგინა: აცნობოს ს. დ. ორგანიზაციას, რომ ჩვენ მზად ვართ მათთან შევთანხმდეთ ერობის არჩევნებში.

რას სჩადიან ამ დროს მენშევიკები:

1) ისინი ხელოვნურად გაურბიან ამაზე ჩვენთან მოლაპარაკებას და რაღაცას ელიან.

2) ჩვენს ამხანაგს ალ. ინაშვილს ოფიციალურად დავალებული ჰქონდა მთავარ ინსტრუქტორისაგან მოეწყო საარჩევნო კომისია. გაიგეს ეს მენშევიკებმა და მათ ელდა ეცათ. მეორე დღესვე ანხ ა. ინაშვილი გადაყენებულ იქმნა და მის მაგიერ დანიშნეს პროპაგანდისტი ს. დ. დ. ჩხეიძე (თურდოსპირელი).

3) ამავე თურდოსპირელმა, როგორც ამას წინედაც ვსწერდით, საიდუმლოდ მოაწყო ვითომდა გლეხთა ყრილობა თავისივე აგენტების შემწეობით და შექმნა „კომიტეტი“. ამ კომიტეტში აარჩევინეს თავისი თავი ისევ ამ „ინსტრუქტორად“ მოვლინებულმა თურდოსპირელმა და მისმა დამქაშებმა.

4) არჩევნებამდის რომ მთელ ძალაუფლება ხელში ჩაეგდოთ დაუწყეს დევნა ახლად გამწესებულს მაზრის კომისარს ბ. ლანდიას უკანასკნელი უპარტიო აღმოჩნდა და აბა რაში ესიამოვნებოდათ ეს ბატონობას მიჩვეულს ს.-დ. პროპაგანდისტებს.

5) „ინსტრუქტორმა“ თურდოსპირელმა უკვე გადადგა პირველი ნაბიჯი და შეთითხნა თავისებურად საარჩევნო კომისია მან არ იხელმძღვანელა მთავარ ინსტრუქტორის მოწერილობით: არამედ თავის გუნებაზე შექმნა შემადგენლობა. ყველა ამის შემდეგ ადვილი მისახვედრია, თუ რას აპირებენ მენშევიკების პროპაგანდისტები მათ უნდათ ძველებურად ძალა-უფლება ხელში ჩაიგდონ და დემოკრატიის სახელით თავიანთი ვიწრო პარტიული საქმეები მართონ.

არ ვიცი, იციან თუ არა ყველა ეს მათმა უფროსმა ამხანაგებმა, მაგრამ ერთი-კი ცხადია, რომ მათი წარმომადგენლები ჩვენ ხელთათმანს გვესვრიან გულწრფელად უნდა აღვნიშნოთ, ვიცით რა გლეხის მდგომარეობა, არ გვინდოდა სახელმწიფოებრივ პარტიის წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ თუ მოვალეობა მათ ვერ შეიგნეს, ჩვენ მივიღებთ ბრძოლას, მხოლოდ შედეგებზე დეე მათ აგონ პასუხი.

თუ ვიწრო პარტიულ თვალსაზრისით შევხედავთ, ჩვენთვის დიდი სარფა არ არის მათთან ბლოკის შეკვრა, მით უმეტეს თუ გავიხსენებთ იმას, თუ რას ფიქრობს ჩვენი მაზრის მცხოვრებთა უმრავლესობა ყოფილ ძლევა-მოსილ, ახლა-კი გაკოტრებულ „პირველ ნომერზე“.

არყალელი.

გადაგვარებულები

საქართველოს რესპუბლიკის სანაპირო ჯარის ოფიცერს ალ. დ—იანს განცხადება შეუტანია ტფ. ქალთა პირველ გიმნაზიაში: ჩემი ქალებისთვის (ერთი უმცროს მოსამზადებელშია, მეორე—პირველ კლასში) ქართული ენა დედა ენა არაა, ამიტომ რუსულ განყოფილებაში გადაიყვანეთო.

№№

მიხ. კავსაძის კონცერტი

„ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას“

. . . .

16 ღვინობისთვეს ქართული კლუბის საზაფხულო თეატრში მ. კავსაძემ ქართული კონცერტი გამართა. კონცერტზედ ლოდინი დიდხანს არ მომინდა; მოვისმინე. მაგრამ რომ მეტი არ მომივიდეს, ყველაფერის თქმით, მინდა რამდენიმე არა საწყენი დარიგება, მივსცე ბ. მ. კავსაძეს. კონცერტი დაიწყო ფარდა აუხდელ სცენაზედ „მგზავრულით“, რომელსაც ხშირად შეცდომით „მაყრულს“ უწოდებენ.

მაშინ, როდესაც გვინდა მსმენელებს წარმოუდგინოთ ვითომ გუნდი შორიდან მოდის სიმღერით, ყოველთვის უკეთესია ღია ფარდა ახდილი სცენა იყოს, ხოლო სცენის უკან მოშორებით ისე წყნარის და ნელის ხმით, თანდათან ხმის ზომიერად მომატებით გუნდი უნდა შემოვიდეს სცენაზედ და მაშინ თითქმის ნამდვილი ილიუზია მოხდება, შემდეგ ამისა უნდა გულახდილად მოგახსენოთ, ერთი და იმავე სიმღერების მოსმენა რამდენიმე წლის განმავლობაში, სწორედ მოსაწყენია. მე კიდევ იმან გამაკვირვა, რომ წინად ეს სიმღერები უფრო უკეთესად სრულდებოდა ამავე მ. კავსაძის გუნდისაგან. გარდა ამისა ისეთი სუსტი და გადასხვაფერებული იყო ზოგი ჩემგანვე დაწერილი სიმღერები, რომ თვითონ ველარ ვიცანი.

რა არის იმის მიზეზი რომ სულ თითქმის ერთი და იგივე სიმღერებს ასრულებს ეს გუნდი? ნუ თუ ამისთვის ჩვენ მასალა არა გვაქვს? არა. მასალა ბევრია და კარგი, ამასთან იმდენი, რომ ყოველთვის შეიძლება საქმის მცოდნემ ფრიად სასარგებლო მასალად გამოიყენოს კონცერტისათვის. საუცხოვოდ არის ქართული ყველანაირი ეროვნული სიმღერები ჩაწერილი და დაწერილი სამ ხმაზედ, ზოგი ოთხხმად ბ. ბ. არაყიშვილისაგან და ფალიაშვილისაგან. რატომ არა სარგებლობს ბ. მ. კავსაძე ამისთანა კარგი მასალით? მიტომ რომ ამისათვის საჭიროა საკმაო ცოდნა პარტიტურის გარჩევის უნარი

ბუნებითი ნიჭის იმედი თუ აქვს, ეგ ძალიან ცოტაა. იმისთანა კარგი და დიდი საქმისათვის, რომელსაც კარგა ხანია ემსახურება ბ. კავსაძე, უეჭველად საჭიროა მუსიკის თეორიის და სოლფეჯიოს ცოდნა მაინც, სხვას რომ თავი დავანებოთ. მაშინ მაინც ადვილად შეუძლიან აიღოს, რომელიც უნდა იყოს ნაშრომი ბ. ბ. არაყიშვილისა, ფალიაშვილისა თუ სხვისა და სასარგებლოდ გამოიყენოს უამისოდ კი მუდამ ერთფეროვანი და სუსტი იქნება ნაშრომი. რამდენიმე ვითომ იმერული სიმღერებიც იყო, მაგრამ თუ კარგად და ხელოვნურად არ არის მომზადებული გუნდი, ხომ მართალია რომ ქართლ-კახელებს ვერ ეხერხებათ ისეთი სიცოცხლე და სიმკვირცხლე შეიტანონ იმერულ სიმღერაში, როგორც ადვილად ეხერხებათ იმერლებს, უამისოდ კი ისეთი შესრულება როგორიც მოვისმინეთ, არავის დააკმაყოფილებს.

შემდეგ—რამდენიმე სიტყვა ნიუანსიროვკის შესახებ: მუსიკაში არის, სხვა ბევრ ტერმინთა შორის, ორი ტერმინი „ფორტე“ და „პიანო“. ამას სიმღერა-გალობაში თუ დაკვრაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელებზედ, თუ იგი მართლა ხელოვნურად ასრულდა. ამათმა „ფორტემ“ კი არა ჩვეულებრივ იმოქმედა ჩემზედ. ამ გუნდის უეცარმა შეყვირილმა, ვითომ „ფორტემ“ მომაგონა ერთი გუნდი რომელიც საოცარის რიხით ასრულებს „ფორტეს“. მაგონდება ასეთი შემთხვევა სიონის ტაძარში: გუნდი საერთოდ ყვირილით ასრულებს ყველა საგალობლებს, მაგრამ როცა მათებურად „ფორტე“ უნდა შეასრულონ, რა ხდება რომ იცოდეთ: მთელი გუნდი რაღაც მზადებაშია გეგონებათ მდინარეში საბანაოდ ემზადებიანო, ზოგი ქამარს მოუშვებს, ან სულ შემოიხსნის, მეორე კისრის ძარღვებს იჭიმავს, მესამე ჩოხა ახალუხის ღილკილოებს იხსნის. ასეთი ხმების ძალის ასე უცნაურად მოხმარება შნოსა და ლაზათს უკარგავს გალობას.

ყველაფერს თავის ზომა და წესი აქვს და ამ კანონების შესაფერისად მოხმარება გუნდს ამშვენებს და ლაზათს აძლევს. მაშ რა გამოაკეთებს სასურველად საქმეს? უფრო მეტი ცოდნა და ამ დარგში გზნვითარება; გარდა ამისა უფრო მეტი შრომა გამოცდილება გუნდის კარგად მოწყობისათვის. საჭიროა აგრეთვე თვით სიმღერების შინაარს მელოდიის მხრით მიექცეს ყურადღება ვიდრე გარეგან გუნდის მორთვა მოწყობილობას ჩემის აზრით. სჯობია უბრალო და სადად გამოწყობილი გუნდი გამოვიდეს ესტრადაზედ და ხელოვნურად შეასრულოს სიმღერები, ვიდრე ზიზილ-პიპილებით მორთული და სუსტი მცოდნე საქმისა.

რაც სადად და უბრალოდ მოიქცევა ადამიანი, იმდენი მეტი ფასი დაედება. გუნდი მსმენელთათვის ერთნაირი სარკეა, რომელშიაც მოჩანს მთელი უნარი. ცოდნა და შემოქმედება ლოტბარისა; დანარჩენ სხვას არაფერი მნიშვნელობა არა აქვს.

ბოლოს ბოდიშს ვიხდი თუ ვისმე რამე ვაწყენინე, მაგრამ სიჩუმესაც თავისი საზღვარი აქვს, მე როგორც მუსიკის მოტრფიალეს და ცოტათი სიმღერა-გალობის მცოდნეს, ჩვენი ქართული მუსიკის ჭეშმარიტი აყვავება და წარმატების სურვილი მალაპარაკებს და სხვა არაფერი

ზ. ჩხიკვაძე.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების ავადმყოფების მიღება ყოველდღე 11—2 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. მელიქოვის ქ. № 12. 1060

ექიმი მ. ბ. ვეშხვაძე ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკაში ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიული სნეულობით. 3 საათიდან შუადღევის $5^{1}/_{2}$ საათამდე ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, ბარნოვის ქ. № 19. 992

ექიმი მრევლიშვილი მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საბებიო სასწავლებელში და ინტერნად კიევის ქალაქის საავადმყოფოს მიიღებს საბებიო საშვილოსნო ავადმყოფ 4—6 საათზე კვირის გარდა ნიკოლოზის ქუჩა № 22 ვორონცოვის ძეგლის ახლო. 2108

ექიმი ლ. ა. ხარაძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 2105

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 905

ექიმი ს. ი. ხარიშვილი. მიიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილ მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 34. 301

ექიმი ი. ძ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^{1}/_{2}$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

ექიმი ზ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი ქ. ხონი სპირიდონ დიმიტრის ძე ჯალაღანია. იღებს ავად. დილის 9—12 საათამდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთარი სახლი. 2090

ექიმი ქბილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათაადის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი ქალი რ. ხ. ზიზილო-სააკაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ერევნის მოედნის ახლო ტელ. 9—26. 5087

ექიმი დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება, შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, სიფილისი და მის შედეგები, შეშხაპუნება 606—914. საღამოს 5—7 ს. მისამართი გორის ქუჩა № 6. დიდიბე ტელ. 104. 2040

ექიმი ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 1128

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი ზ. ზ. მეჰრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა. შინაგან ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. ახალ რენტგენ-ელექტრ-კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, თავის დუში ვენის ტიპისა, დიდი სოლლუქსიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელ. № 7—92. 1340

თვალის სამკურნალო, მუდმივი ხელმძღვანელობით ექიმ დოლიძისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმი მ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილით 9—1 სა. ს. ყორღანოვის ქ. № 6.

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი

წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეთის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის ა. ლევენზონისა მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჭაჭებისა მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაქირავებულ მორიგე გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 35, ბ. 3. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2029

კერძო სამკურნალო

ექ. ა. დ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.

გ. მ. რეხვიაშვილი—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.

მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (ერლიხ) 11—12 ს.

ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

მ. ნ. იზნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

ხ. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

ი. ა. ხატიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).

ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა № 5, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—49.

სამკურნალოს დირექტორი ექ. ა. დ. ალექსიძე. 728

კერძო სამკურნალო

ექ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის

სპეციალისტ ექიმებისა

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე

ა. დ. ალექსიძე შინაგანი და ქალთა სნეულებანი 11—1 ს. და საღ. 5—6 ს.

ნ. თ. ანდრონიკაშვილი კანის და ვენერიული ავადმყ. 8—9 ს. და 6—7 ს.

გ. მ. რეხვიაშვილი შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს. და 4—5 ს.

ხვ. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობისა, 1—3 საათამდე.

სამკურნალოსთან არის ლაბორატორია, სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა. გამგე ლაბორატორიისა ექ. მ. მ. ტყემალაძე.

მისამართი: ერეკლეს ქ. № 6 ეგზარხოსის მოედანთან.

სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2019

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო.

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:

„606“ და „914“ 11—12 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

ე. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.

ბ. ნ. აგასაროვი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.

დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ხ. გ. ავეტისიანი—9—11 საკუთარი ბავშვთა ავადმყ.

ი. ა. ტერ-გრიგორიანცი, 1—2 ს. შინაგანი.

საღამოთ:

ხ. გ. ავეტისიანი: 11—12 ს. სპეციალური ბავშვთა სნეულებანი.

ა. ნ. ახაკიანი: 6—7 $^{1}/_{2}$ ქალური-ავადმყოფობანი და ქირურგიული:

რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.